ვებ ინტერფეისის დეველოპერი

<u>მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:</u>

ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

<u>მიზანი:</u> პროგრამის მიზანია პირს მისცეს ვებ ინტერფეისის დეველოპერისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა მან შეძლოს ვებსაიტის მარკირება მოცემული დიზაინისგან, საიტის გაფორმება სტილებითა და ინტერაქტიულიელემენტებით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ვებსაიტის სტრუქტურის აგება,
- ვებ გვერდზე ობიექტების, ფორმებისა და ბმულების ასახვა;
- ვებსაიტის ელემენტების გაფორმება სტილებით და მორგება სხვადასხვა მოწყობილობებზე;
- საიტის დინამიური ელემენტების შესაქმნელად შესაბამისი ბიბლიოთეკის მოძიება, გაცნობა/რედაქტირება და ინტეგრაცია ვებგვერდთან;
- მარტივი ინტერაქტიული ამოცანის გადაწყვეტა JavaScript ენის გამოყენებით;
- ვებსაიტის დიზაინის აწყობ ასაიტის მართვის სისტემის გამოყენებით;
- შექმნილი ნამუშევრის ხარისხის უზრუნველყოფა W3C სტანდარტების შესაბამისად.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებსტუდიაში, ციფრული მარკეტინგის სააგენტოში, ონლაინ კომპანიაში და ნებისმიერი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, რომელიც აქტიურად ანახლებს თავის ვებსაიტს. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 65 კრედიტი
- **სწავლების ხანგრძლივობა:** 13 სასწავლო თვე;

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. სსიპ. საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია
2. ი.მ. ვახტაგ მაკარაძე
3. შპს. ტურინვესტი
4. შპს. კოკაკოლა ბოთლერს ჯორჯია